საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1201-03
03/08/2026

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველი, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 თებერვლის N55 დადგენილების მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის "ე" ქვეპუნქტის, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ

1. საქართველოს მოქალაქეებისა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 20^{13} მუხლით გათვალისწინებული პირების მიერ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხნენ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე და სურთ სწავლა განაგრძონ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის განხორციელების უფლებაც არ გააჩნია იმ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც ისინი სწავლობდნენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ხოლო აღნიშნულ პროგრამას საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 თებერვლის №55 დადგენილების შესაბამისად ახორციელებს სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, განცხადებების მიღების ბოლო ვადად განისაზღვროს 2026 წლის 9 სექტემბერი, 18:00 საათის ჩათვლით.

2. პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება შეუძლიათ ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ პროგრამებზე.
3. პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირებს განცხადება შეუძლიათ დაწერონ უნივერსიტეტის კანცელარიაში მის.: ილია ჭავჭავაძის გამზირი 45, E კორპუსი, ან გამოაგზავნონ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@iliauni.edu.ge . განაცხადთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები:
   ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი (1 ეგზემპლარი). უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;
   ბ)ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების სერტიფიკატი ან ცნობა პროგრამის დასრულების შესახებ.
4. პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევით შემოსული განცხადების განხილვა მოხდეს უნივერსიტეტის რექტორის თანხმობის საფუძველზე.
5. ფაკულტეტებს დაევალოთ გადაამოწმონ, აკმაყოფილებს თუ არა ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირი დადგენილ პირობებს და აქვს თუ არა უფლება, მოითხოვოს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა.
6. პირებთან, რომლებიც მოიპოვებენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებას, ხელშეკრულების გაფორმების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2026 წლის 11 სექტემბერი;
7. ამ ბრძანებით განსაზღვრულმა პირმა, რომელიც მოიპოვებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებას, ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა წარმოადგინოს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი (1 ეგზემპლარი). უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

ბ) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების სერტიფიკატის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი ან ცნობა პროგრამის დასრულების შესახებ.

გ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი. უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტი;

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ საქართველოს მოქალაქე ვაჟებისთვის);

ე) სტუდენტის მიმართ გამოცემული ყველა სამართლებრივი აქტი/ამონაწერი დამოწმებული უნივერსიტეტის ბეჭდით.

ვ) 1 ფოტოსურათი ზომით 3/4 და ელ.ვერსია ელექტრონულ მატარებელზე(CD).

ზ) სოციალურად დაუცველის სტატუსის შემთხვევაში ცნობა გაცემული შესაბამისი ორგანოდან.

თ) ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მიზნით საბუთების მინდობილი პირის მიერ წარმოდგენის შემთხვევაში, მინდობილმა პირმა უნდა წარმოადგინოს სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობა;

8. ხელშეკრულებების გაფორმება განხორციელდება ქვემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

   ა) მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N32, A კორპუსი, ოთახი A303;

   ბ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი - მის.: ილია ჭავჭავაძის გამზირი 45, H კორპუსი, ოთახი H105 (შესასვლელი ეზოდან).

   გ) ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი - მის.: ილია ჭავჭავაძის გამზირი 45, E კორპუსი, ოთახი E304.

9. 18 წლამდე ასაკის პირს თან უნდა ახლდეს კანონიერი წარმომადგენელი და თან იქონიოს წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მშობლის უფლების მქონე პირის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და აბიტურიენტის დაბადების მოწმობა, ხოლო მეურვის მიერ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები).
10. ფაკულტეტებს დაევალოთ, არაუგვიანეს 2026 წლის 14 სექტემბრისა უნივერსიტეტის რექტორს წარუდგინონ იმ პირთა სია, ვინც გააფორმა უნივერსიტეტთან ხელშეკრულება;
11. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის.
12. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციული პროცესების კოორდინაციისა და მართვის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურს,მატერიალური რესურსების სამსახურს, ლოგისტიკისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი